№ 260
პარასკევი, 30 ნოემბერი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12. . .	10	—	6 . . .	6	—
11. . .	9	50	5 . . .	5	50
10. . .	8	75	4 . . .	4	75
9. . .	8	—	3 . . .	3	50
8. . .	7	25	2 . . .	2	75
7. . .	6	50	1 . . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877–1901

ივერია

№ 260
პარასკევი, 30 ნოემბერი, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ეროვნული ბიბლიოთეკა
საჯარო ბიბლიოთ

ამ თვის 25-ს ვოლინის გუბერნიაში, საკუთარს მამულში გარდაიცვალა **სვანეთის უკანასკნელის მთავრის კონსტანტინეს პირმშო ძე**

თ-დი მოსოსტრ დადიშქელიანი.

განსვენებულის გვამს დასაკრძალავად მოასვენებენ ქუთაისს ქუთაისის საკრებულო ტაძარში.

დანიშნულია პანაშვიდი ყოველ დღე ნაშუადღევის ოთხს საათზე.

დაკრძალვის დღე თავის დროზე იქმნება გამოცხადებული.

(1—1)

ქართული თეატრი.

შაბათს, 1-ლ დეკემბერს, გამართული იქნება ქართული

კონცერტი.

იმღერებს ბ-ნ ქორიძის ლოტბარობით გურულ ტანისამოსში გამოწყობილი, ოც-და-ათი კაცისაგან შემდგარი, ხორო. ხორო აასრულებს ორ-სართულიანს ფერხულს. ფასი ადგილებისა დაკლებულია.

(3—უ—3)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ ამა წლის 9 დეკემბერს დილის 11 საათზედ, ქართულ თეატრის ფოიეში, დანიშნულია ამ საზოგადოების წევრთა **საზოგადო კრება**.

კრებამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს 1901—1902 წლ. შემოსავალ-გასავლის სავარაუდო ანგარიში.

მსურველთ ანგარიშის მიღება შეუძლიანთ 2 დეკემბრიდგან გამგეობის კანტორაში 11—1 საათამდე.

(3—უ—3)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра
Навасардіана.
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

ს. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.

გ. გ. მაღალაშვილი.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ექიმი-ქალი მ. ს. ბაქრაძე ბავშვებისა—11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ა. გ. ბარსუკოვი — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1½—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი. —შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა. 7—8 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (ნ.)

ქართველთა ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში და სახელოსნო სკოლაში იღებენ ყოველგვარ **საკერავს**: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას და საცვლებზედ ამოჰკერავენ ნიშნებს (МѢТКИ). ბარონის ქუჩა, № 12.

(20—უ—12)

ფელეტონი

—

სამეცნიერო მიმოხილვა.

წარმოდგენასა და სულიერს ამა თუ იმ მდგომარეობას საჭმლის მონელებაზედ საზოგადოდ რა გავლენა აქვს.

(პროფ. ი. პ. პავლოვის გამოკვლევანი).

ვიდრე თვითონ საგნის განხილვას შევუდგებოდეთ, მეტი არ იქმნება, ვგონებ, ორიოდე სიტყვით პატივცემულს მკითხველს საჭმლის მონელების პროცესსი გავაცნოთ (ვგულისხმობთ იმათ, ვისაც ფიზიოლოგია არ უსწავლია).

სხეულის მიერ საჭმლის შესათვისებლად უთუოდ საჭიროა: ყოველივე, რასაც-კი საზრდოდ იღებს ადამიანი, საჭმლის მომნელებელს მილში იქმნეს გატარებული და აქ გზად და გზად სხვა-და-სხვა საგანგებო ორგანოების — ჯირკვლების მიერ გამოღებულ წვენით ისე იქმნეს შეცვლილი, რომ სისხლმა შემდეგ სულ ადვილად შეითვისოს, შეიწოვოს.

ასეთს წვენს წარმოადგენენ პირში, მაგალითად, ნერწყვი, რომელსაც ყბის ძირისა (gl. submaxilaris) და ყურის ძირის (glandula parotis) ჯირკვლები იძლევიან, კუჭში—კუჭის წვენი, შემდეგ ნაღველა, კუჭის ძირის ჯირკველში (pancreas) პანკრეას წვენი და სხ.

იმათგან ნერწყვი სახამებელს შაქრად აქცევს, კუჭის წვენი ცილას —ეგრედ წოდებულ პეპტონებად, რომელიც შემდეგ სულ ადვილი შესათვისებელი ხდება, ნაღველა ქონს—ემულსიად, პანკრეას, ანუ კუჭის ძირის ჯირკვლის წვენი—სახამებელს შაქრად, ცილას პეპტონებად და სხ. ასეთსავე მოქმედებას იჩენს ზოგიერთა ცხოველების საჭმლის მონელებაზედ აგრეთვე ნაწლევების წვენიც.

მაშასადამე, როგორცა სჩანს, ყოველივე საჭმელი საგანგებოდ უნდა იქმნეს დამბალი და გავლებული ერთ-ერთს რომელსამე ამ წვენში, რომ სხეულმა ჯეროვანად შეითვისოს, საჭირო მასაზრდოებელი ელემენტები გამოჰკრიბოს, გამოსწოვოს, ხოლო უვარგისი და გამოუსადეგარი, როგორც უცხო და მავნე, განსაკუთრებულის გზით უკანვე გამოსდევნოს.

ეს გახლავთ მოკლედ მთელი პროცესსი სხეულის საზრდოობისა და საჭმლის მონელებისა, მაგრამ ჩვენი დღევანდელი საგანი ეს როდია.

როგორც სათაურშივე აღვნიშნევით, გვსურს მკითხველს გავაცნოთ, თუ ადამიანის სხვა-და-სხვაგვარი სულიერი მდგომარეობა, პატივცემულის პროფ. ი. პ. პავლოვის გამოკვლევით, საჭმლის მონელებაზედ როგორა ჰმოქმედებს, საზოგადოდ გუნებასა და წარმოდგენას საზრდოობაზედ რა ზედგავლენა აქვს.

როგორც უკვე მოგახსენევით, საჭიროა უთოდ ყოველივე, რაც-კი საზრდოდ ეძლევა სხეულს, პირიდგან მოკიდებული ვიდრე ნაწლევებამდე, საკმარისად ლბებოდეს, შესაფერისად იცვლებოდეს და ასე დამუშავებული შედიოდეს სისხლში, მაგრამ საქმეც სწორედ აი, აქ არის—რისგან და როგორ არის დამოკიდებული, რომ საჭმელი საკმაოდ დალბეს, შეიცვალოს, ზემოდ აღნიშნულმა ორგანოებმა საჭირო წვენი სამყოფი გამოიღონ. ეს არის ჩვენი დღევანდელი საგანი და ვეცდებით რაც შეიძლება მოკლედ და გასაგებად გადავცეთ მკითხველს ყოველივე, რაც-კი ამ საგნის შესახებ შეგვისწავლია, გვინახავს და გაგვიგია. *)

ძველად, ფიზიოლოგოსთა სიტყვით, საკმარისი იყო, მაგალითად, პირისა და კუჭის კანს საჭმელი შეჰხებოდა, მაშასადამე, ლორწოიან გარსის ზედაპირი და გემოვნების ნერვები აჩიჩქოლებულიყვნენ და ჩვენ მიერ დასახელებული საგანგებო ორგანოები მაშინვე მუშაობას იწყებდნენ, საჭირო წვენს გამოიღებდნენ; ან-და სხვა რაიმე გარეშე საგანი შეეტანათ პირში და წამსვე ნერწყვი წამოუვიდოდათ. ერთი სიტყვით, სწავლულთ სჯეროდათ, რომ ყოველისავე მოვლენის მიზეზი სიცოცხლეში მხოლოდ მეხანიკური გავლენა იყო, სხვა არასფერი; სულიერს მოძრაობასა და მისს გავლენას ადამიანის ფიზიკურს ბუნებაზედ არავითარი მოქმედება არა ჰქონდა.

ფიზიოლოგია დღემდის მთელს საჭმელის მოსანელებელს მოწყობილებას თავისის განსაკუთრებულის ორგანოებით ისე სცნობდა, როგორც უბრალო ქარხანას, რომელშიაც ყოველივე მეხანიკურის გავლენის ქვეშ იხარშებოდა, კეთდებოდა. ამისათვის მეტს ყურადღებას აქცევდა თვითონ ჯირკვლებიდგან გამონადენ წვენის ქიმიურს შემადგენლობასა და მისს მოქმედებას საჭმელზედა და ივიწყებდა, ყურს უყრუებდა იმას, რაც უფრო მეტის ყურადღებისა და დაკვირვების ღირსი იყო, რისგანაც, მომეტებულს შემთხვევაში, მონელებისა და კვების კეთილი შედეგია დამოკიდებული, სახელდობრ, ადამიანის სულიერს მდგომარეობას თვითოეულს კერძო შემთხვევაში, ქეიფს, გუნებას.

საჭმლის მონელების პროცესსი რომ სავსებით შევისწავლოთ, ამისათვის საკმარი სრულიად არ არის, თუ ხორცსა ან ფლავს რომელი ჯირკველის წვენი რა რიგ შესცვლის, სისხლს როგორ შეეთვისება; საჭიროა ამასთანავე ვიცოდეთ—რა პირობებში და რამდენად სამყოფს მოგვცემს საჭირო წვენს რომელიმე მომნელებელი ჯირკველი, რომ მიღებულმა საჭმელმა თავისი დანიშნულება შეასრულოს, მოიხარშოს, სხეული ასაზრდოოს.

„არ შეიძლება საჭმლის მომნელებელი მეხანიზმი ისე განყენებულად წარმოვიდგინოთ, როგორც მას თანამედროვე ფიზიოლოგია სცნობსო,—ამბობს პავლოვი. თვითონ სხვა-და-სხვაობა და განსაკუთრებული თვისებები მომნელებელ ორგანოების წვენისა გვიბრძანებენ უთუოდ, რომ საჭმლის მომნელებელ მილის დანიშნულება და რთული ხასიათი, აგრეთვე მისი თვითოეულს კერძო შემთხვევაში შეწონვით მოქმედება შევისწავლოთო“.

ავიღოთ, მაგალითად, სანერწყვე ჯირკვლები. ყველას კარგად მოგეხსენებათ და გამოუცდებათ უთუ-

---

*) ბ-ნის პავლოვის ლექცია ამ საგნის შესახებ პირველად 1898 წ. მოვისმინეთ პეტერბურგში.

ახალი ამბავი

⁂ კავკასიის სასოფლო მეურნეობის საბჭოს უთხოვნია ყოფილის სამეურნეო გამოფენის სხვა-და-სხვა დარგთა თავსმჯდომარეთათვის, რომ რაც შეიძლება დააჩქარონ კრებებისა და სხდომების ანგარიშების წარმოდგენა. საზოგადოების საბჭო აპირებს ეს ანგარიშები დაბეჭდოს და გაუგზავნოს რუსეთის მევენახეობისა, მეღვინეობის და ხელსაქმის მრეწველთა კრებებს, რომელთაგან პირველი უნდა გაიმართოს 1902 წლის თებერვალში და მეორე— იმავ წლის მარტში.

შეიძლებაო, ამბობს „კავკ. სასოფ. მეურნეობის“ გაზეთი, იმ კრებებმა იგულისხმონ ჩვენი გადაწყვეტილებანი და აღძრულნი შუამდგომლობანი და შეუერთდნენ მათ. მაშინ ჩვენს სათხოვრებს უფრო ფასს დასდებს მთავრობა და შეიძლება უფრო ადვილათაც დააკმაყოფილოს ისინიო.

⁂ ქალაქის წყლის მილის შემოსავლის ანგარიშში ჯერ შემოსულა 71,542 მანეთით ნაკლები, ვიდრე ნავარაუდები იყო. მიზეზი სახლის პატრონებისაგან დროზე ხვედრი წყლის ფულის შემოუტანლობაა. ქალაქის გამგეობა სცდილობს შესაფერი ღონის ძიება მიიღოს, რომ ეს ფული წრეულსავე აიღოს მცხოვრებთაგან. იმათ შორის, ვისაც წყლის ფული დროზე არ შემოუტანიათ, რამდენიმე სახელმწიფო დაწესებულებაც ურევია.

⁂ როგორც „Тиф. Л.“ შეუტყვია, ახლად დანიშნულ ექსარხოსის ჩამოსვლამდე საექზარხოსოს განაგებს ყოვლად-სამღვდელო კირიონი, ეპისკოპოსი გორისა.

⁂ ტფილისის სახაზინო პალატას განკარგულება მოუხდენია, რომ სახლის პატრონებმა და მდგმურებმა დროზე შეატყობინონ სადგომებისა და მათი ქირის შესახები ცნობები.

ეს ცნობები პალატას ეჭირვება მომავალ წლისათვის სადგომებზე გადასახადის გასაწერად.

⁂ მიწათ მოქმედების სამინისტრო აჩქარებს ერევნის გუბერნიაში სარდარაბადის ველის მორწყვის საქმეს, რადგანაც ზედ რუსის გლეხები უნდათ დაასახლონ.

⁂ ვილაც ნ. ა. ბოროდინს ამ თვის 19-ს პეტერბურგში, საიმპერატორო რუსეთის მეთევზეობის საზოგადოებაში წაუკითხავს მოხსენება შავის ზღვის პირად მეთევზეობის შესახებ. რუსული გაზეთები ამ მოხსენებას ფრიად საინტერესოდ სთვლიან. ბოროდინს ჩამოუთვლია რა და რა თევზები იპოვება შავის ზღვის ნაპირებთან, რა და რა ბადეებითა და ხელსაწყოებით იჭერენ მათ, ვინ მეთევზეობს ამ ჟამად, რა ალაგს უფრო ბევრი ლოკოკინაა (გუდაუთში) და შემდეგ უცაბედად გამოჰყავს ის დასკვნა, რომ ამ ადგილებში მეთევზეობის საქმის გაუმჯობესობა, სხვათა შორის, შეუძლია რუსის გლეხობის მოსახლეობას ზღვის ნაპირადაო.

⁂ ტფილისის „სამხატვრო სასწავლებლის“ დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელს შეუმუშავებია ამ სასწავლებლისათვის წესდება, ყაზანის, პენზის და ოდესის ამ გვარივე სასწავლებელთა წესდების მიხედვით, და წარუდგენია კავკასიის მთავრობისათვის სათანადო წესით დასამტკიცებლად.

⁂ ამ თვის 27-ს, სამშაბათს საღამოს, 9 საათზე, ქუთაისს გაემგზავრა იქაური ახლად დანიშნული გუბერნატორი პოლკოვნიკი ა. ა. სმაგინი, რომელიც ამ თანამდებობაზე დანიშვნამდი ასრულებდა კავკასიის სამხედრო ოლქის მორიგის ღენერლის თანამდებობას. გუბერნატორი სადგურამდი გააცილეს ამხანაგებმა და თანამოსამსახურეებმა. გუბერნატორის ცოლს მიართვეს შვენიერი ვარდის კონა. ტფილისში ა. ა. სმაგინმა დასტოვა მუყაითი მშრომელისა, თანამდებობის ერთგულ აღმასრულებელის, კარგის თანამოსამსახურის და ჰკუიან მოსაუბრე კაცის სახელი.

⁂ ქალაქის გამგეობაში უკვე დაუსრულებიათ ტრაქტირებზე გადასახადის გაწერა მომავალ 1902 წლისათვის. სულ 60,000 მანეთი არის გაწერილი.

⁂ მკითხველებს მოეხსენებათ, რომ მომავალ წლიდგან, მთავრობის განკარგულებით, სახლის პატრონნი ვალდებულნი იქმნებიან იყოლიონ მეეზოვენი. ამ ჟამად, როგორც „Новое Обозр.“ გვატყობინებს, ტფილისში ჩამოსულა როსტოვის მუშათა არტელის წარმომადგენელი, რომელსაც მოლაპარაკება გაუმართავს სათანადო დაწესებულებასთან, რათა მეეზოვებად დაქირავებულ იქმნან წერა-კითხვის მცოდნე როსტოველი მუშები.

აქაურ მუშებშიაც მოიძებნებიან რუსულ წერა-კითხვის მცოდნენი და სასურველია მეეზოვების დაქირავების დროს უპირატესობა მათ მიეცესთ როსტოველებზე, იმიტომ რომ, ადგილის კურდღლის დასაჭერად ყოველთვის ადგილის მწევარი სჯობს.

⁂ ყოვლად სამღვდელო გრიგოლი, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად ნამყოფი, რომელიც გელათში ბრძანდება დასასვენებლად, ამ ჟამად ავად გამხდარა გულის სიმსუქნით და ქუთაისს ჩაბძანებულა საექიმოდ.

⁂ 20 ნოემბერს საღამოს 4 საათს და 10 წ. მე-294 ვერსზედ რკინის გზის ლიანდაგისა, მატარებელს ქვეშ მოჰყვა 17 წლის გლეხი სოფელ ქოჩტას მცხოვრები ზაქარია აბოიანცი, რომელსაც ორივე მუხლები მოსწყვიტა. დაჭრილი მიიყვანეს ტფილისის რკინის გზის ლაზარეთში, სადაც მაშინვე გარდაიცვალა.

⁂ ოთხშაბათს, 28 ნოემბრის, სხდომაზედ ქალაქის გამგეობას მოახსენა გამგეობის წევრმა ბ-ნმა ხოსროვმა წინადადება ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელისა—ქალაქის გამგეობამ დაუყოვნებლივ საშუალება მიიღოს, რომ ტფილისის სახელოსნო სასწავლებელს ასცილდეს ყველა ის ნაკლულევანებანი, რომელნიც შენიშნა სამოსწავლო ოლქის უფროსმა ამ სკოლის დათვალიერების დროს. გამგეობამ გარდასწყვიტა გაეგზავნოს ეს წინადადება ტფილისის სასწავლებელთა გამგე-კომისიის თავმჯდომარეს და მოეთხოვოს, რომ ეხლავ წარუდგინოს გამგეობას მოსაზრებანი სკოლის კომისიისა აღნიშნულ ნაკლულევანებათა ასაცილებლად.

⁂ ქალაქის ქუჩების მოკირწყლვა-შეკეთების საქმისათვის მისაღები ფულის ერთი ნაწილი 324 მან. ტფილისის ტრამვაის უსახელო საზოგადოების დირექტორმა გუშინ წარუდგინა ტფილისის ქალაქის გამგეობას. წელს უსახელო საზოგადოებამ ამ ფულისა გარდიხადა სულ 2572 მან. და 67 კაპ.

⁂ ტფილისის ქალაქის ტეხნიკოს ზურაბიანცს დაუთვალიერებია კვინსულის ქუჩაზე ბებუთოვის სახლი, რომელიც ისეთი ძველი და საშიში აღმოჩენილა, რომ საჭიროა თურმე ამ სახლში მცხოვრებნი ეხლავე გამოყვანილ იქმნენ მოსალოდნელ უბედურების ასაცილებლად.

⁂ დღეს, 30 ნოემბერს, წმ. ანდრია მოციქულის დღესასწაულის დღეს, ტფილისის სასულიერო სემინარიის ეკკლესიაში მწირველი ბრძანდება არქიეპისკოპოსი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი ფლაბიანე. საღამოს სემინარიის შენობაში გამართული იქნება სალიტერატურო საღამო, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ მოსწავლეთა მგალობელი გუნდი და სხვანი.

⁂ მკითხველებმა იციან, რომ ქალაქ ტფილისი რამდენიმე საარჩევანო ნაწილად გაიყო ახალ ხმოსნების ასარჩევად. თითოეულის ნაწილისათვის მზადდება ცალ-ცალკე საარჩევანო სიები. 28 ნოემბერს ქალაქის გამგეობის სხდომაზედ საკითხი აღიძრა იმის შესახებ, რომელს სიებში იქმნენ ჩაწერილნი ის მემამულენი, რომელთაც რამდენსამე ნაწილში აქვთ მამულები და რომელთაც ჯერ ამის შესახებ სურვილი არ განუცხადებიათ, თუმცა საქალაქო დებულების მე-135 მუხლის ძალით, მათ შეუძლიანთ ერთს რომელსამე საარჩევანო სიაში ჩაწერა. გამგეობამ განიხილა რა ამის შესახები მოხსენება ქალაქის მოურავის მოადგილესი, გარდასწყვიტა ჯერ-ჯერობით დაამზადოს წინასწარი საარჩევანო სიები, რომელთა გამოცხადებისათანავე ეუწყოთ აღნიშნულ მემამულეებს, რომ შეატყობინონ გამგეობას—რომელს საარჩევანო სიაში უნდათ ჩაწერა. თუ საბოლოვოდ სიების დამზადება-გამოცხადებამდე ასეთმა პირებმა თავისი სურვილი არ განაცხადეს, მერე მათი განცხადება არ მიიღება, რადგანაც საქალაქო დებულების ძალით სიების შეცვლა მეორედ გამოცხადების შემდეგ არ შეიძლება.

ოდ, რომ, როგორც-კი მშიერს კუჭზედ გემრიელს საჭმელს დავინახავთ, მაშინვე პირი წყლით აგვევსება ხოლმე. ეჭვი არ არის, აქ მიზეზი მხოლოდ ჩვენი სულიერი გავლენა და წარმოდგენაა, სხვა არაფერი. მაშასადამე, სულიერი გავლენა დ წარმოდგენაც ისრევე თურმე ჰმოქმედებს ჯირკვლებზედ, როგორც პირის ლორწოიან გარსთან და გემოვნების ნერვებთან თვითონ საჭმლის პირდაპირი შეხება. ტყუილია, მაშასადამე, აქედგან ის ძველი წარმოდგენა, ვითომ სულს ხორცზედ გავლენა არა ჰქონდეს, მეხანიკური გავლენა ყოველგვარ სიცოცხლის მოვლენისა და მოძრაობის მიზეზი იყოს. ამასვე ჰმოწმობს ძველთაძველი თქმულობაც: „პირი წყლით აევსოო“, როცა უნდათ გამოჰხატონ, რომ ნანახმა უზომოდ დიდი მადა მოჰგვარა ვისმე.

პირში საჭმელი, როგორც მოგეხსენებათ, ან უნდა მზად დაფქულ დაზელილი და დაკეფილი შევიდეს, ან-და ეს როლი დაფქვისა და დაკეფისა კბილებმა შეასრულოს, რომ ნერწყვს თავისი მოქმედება არ გაუძნელდეს, ადვილად შეასრულოს: მშრალი მოალბოს, გასახსნელი გახსნას, მომსხო ნაწილებს კიდევ გარს შემოეცხოს, რომ გზა მშვიდობისა დაულოცოს, კუჭის ყელში ჩავლა გაუადვილოს. უმთავრესი დანიშნულება-კი ის არის, რომ სახამებელი საჭმლისა შაქრად აქციოს და შემდეგს ორგანოებს, კუჭსა და ნაწლევებს, საქმე გაუადვილოს.

მაგრამ მოქმედება ნერწყვისა მარტო ამითი არ განისაზღვრება. როგორც მოგეხსენებათ, მოხდება ხოლმე ისეც, რომ პირში მავნე რამ გამოუსადეგარი ნივთიერება მოჰყვება ხოლმე. ამ შემთხვევაში ნერწყვი ერთად-ერთი საშუალებაა, რომ მავნე ნივთიერების, მაგალითად, ცხარე სიმჟავის მავნებლობა შეამციროს, შეასუსტოს, გამოუსადეგარი გარეშე საგანი უკანვე გამოსდევნოს, პირი გამორეცხოს. „მოიგონეთო, —შენიშნავს პატივცემული პროფესსორი,—როგორც-კი პირში უგემური და მწარე რამ მოგვხვდება, მაშინვე ნერწყვი როგორა მატულობს, როგორ ხშირად ვიფურთხებითო და დარწმუნდებით, რომ სულიერს გავლენას აქ დიდი ადგილი აქვს დათმობილიო.“

ამასვე ამტკიცებს დაზიზღებაც. მოიგონეთ, მაგალითად, წინა დღით ან ოდესმე შეჭმული უგემური და უსიამოვნო საჭმელი, ან რაიმე კარგი და საყვარელი საჭმელი და მაშინვე პირი ნერწყვით აგევსებათ.

ეჭვი არ არის, ამ შემთხვევაში მეხანიკურს გავლენას არავითარი ადგილი არა აქვს და მთავარი მიზეზი მხოლოდ მოგონება, ჩვენი სულიერი გავლენაა. პირ-იქით თვითონ ასეთს მოქმედებას ჯირკვლებისას განსაზღვრული, პირდაპირი დანიშნულება და აზრი აქვს, რასაც დოქტორის გლინსკის გამოკვლევანი საკმაოდ ნათლად ამტკიცებენ. გლინსკის გამოკვლევით, მაგალითად, თვითოეულს სანერწყვე ჯირკვალს თავისი პირდაპირი დანიშნულება თურმე აქვს და არასოდეს ამ დანიშნულებას არა ჰღალატობს. ავიღოთ, მაგალითად, ყურის ძირის ჯირკვალი. იგი მხოლოდ მაშინ იწყებს მუშაობასა და მაშინ იძლევა ნერწყვს, როდესაც პირში მშრალი და ხმელი საჭმელი მოჰხვდება. გამოცდამ დაამტკიცა, მაგალითად, რომ რა საჭმელიც უნდა მისცეთ ძაღლს,—თუნდ სველი ხორცი, თუნდ სველი ლუკმა, ყურის ძირის ჯირკვალი მაინც ნერწყვს არასოდეს არ გამოიღებს, ვიდრე ხმელი და მშრალი საჭმელი არ ექმნება: ეჭვი არ არის, იმიტომ ჯიუტობს, რომ საჭმელი დალბობასა და დასველებას არა ჰსაჭიროებს. მაგრამ როგორც-კი გამხმარს ხორცს ჩაუდებთ პირში, ჯირკვალი მაშინვე მუშაობას იწყებს, ნერწყვს იძლევა. მახსოვს, მაგალითად, პროფესსორი პავლოვი ამ შემთხვევაში ძაღლს პირში სუხარს, ან კენჭებს უყრიდა და ნერწყვი უთუოდ მოსდიოდა მაშინ.

ამ რიგად, ეს განსაკუთრებული გამრჩეველობაც, თუ როდის და როგორ უნდა იმოქმედოს ჯირკვალმა, უთუოდ იმასვე ამტკიცებს, რომ მეხანიკურს გავლენას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და თვითოეულს კერძო შემთხვევაში საქმე იმაზეა დამყარებული, თუ არსებითად საჭმლის ბუნება რას მოითხოვს, ფსიხიკა როგორ მუშაობს, რომელს ორგანოს რას უბრძანებს.

ეს სანერწყვე ჯირკვლების შესახებ. ვნახოთ ახლა კუჭზედ რაღა გავლენა აქვს სულსა.

როგორც ფიზიოლოგოსთა უმეტესობა ამტკიცებდა დღემდის, საკმარისი იყო, მაგალითად, რომ პირში საჭმელი ჩასულიყო, ან-და რაიმე მეხანიკურ და ქიმიკურ საშუალებით აეჩქოლებინათ პირის კანი და მაშინვე ჯირკვლები საჭირო წვენს გამოიღებდნენ; მაგრამ ეს არ გამართლდა. არ გამართლდა ასეთივე შეხედულობა არც კუჭის შესახებ. ბიდდერისა და შმიდტის გამოკვლევით, საკმარისია, მაგალითად, მშიერს ცხოველს საჭმელი დაანახვოთ და ცარიელი კუჭი მაშინვე წვენს ჩაიყენებს. იგივე ცდა გაიმეორა ბ-ნმა პავლოვმაც და დამტკიცდა, რომ მართლა კუჭიც იმავე წარმოდგენასა და სულიერს გავლენას ემორჩილება, როგორც პირი. პირ-იქით, პავლოვმა ამ ცდას ახლა სხვები მიუმატა და დაასკვნა, რომ, თუ ძაღლს ქიმიურის ან რაიმე მეხანიკურ საშუალებით უჩხოქოლებენ პირის კანს, არასოდეს კუჭი წვენს არ იძლევა, სამაგიეროდ საჭმელი იმდენად მეტს წვენს უყენებს კუჭში ცხოველს, რამდენადაც ძლიერა ჰშიან. ძაღლს საჭმლის დანახვაზედვე ცახცახი მოსდის, ჩაბმულს ძლივს იმაგრებენ, შუშის მასრები, რომლებიც ნერწყვისა და წვენის შესაგროვებლადაც აქვთ ჯირკვლების გამოსავალთანა და კუჭთან მიბმული, უცბად ევსებათ და სხვ. ამ რიგად საჭმლის დანახვაზედვე და პირთან მიტანაზედ კუჭის ჯირკვლები მაშინვე გაცხარებულად იწყებენ მუშაობასა და წინადვე უმზადებენ საჭმელს წვენსა, ხოლო შემდეგ ამას ერთვის ახლა საჭმლის შეხებაც. „დაბეჯითებით თქმა იმისი, რომ ერთად ერთი ნამდვილი და პირდაპირი საშუალება კუჭის მიერ საჭირო წვენის გამოღებისა უბრალო მეხანიკური აჩხქოლებააო, როგორც ეს ფიზიოლოგიის ზოგიერთს სახელმძღვანელოებშია ნათქვამი, ეჭვი არ არის, მხოლოდ შეცდომაა, რომელიც შემდეგ ცრუ

უცხოეთი

—

სამხრეთ-აფრიკის ომი. საზღვარგარეთ, გაზეთების სიტყვით, ხმა დადის, რომ მოლაპარაკება ზავის შესახებ ბურებსა და ინგლისელებს შორის ამა მიმდინარე წლის დასასრულს დაიწყებაო. ამას წინად დერბში კრება ჰქონდა საერო ფედერაციის მთავარ კომიტეტს სამხრეთ აფრიკის საქმეთა ვითარების გამოსარკვევად. კრებამ გადასწყვიტა—შეეკითხოს მთავრობას ომის თაობაზედ და გაიგოს, რა პირობით აპირებს იგი ზავის დადებას ბურებთან.

— „Times“-ში კორესპონდენცია მოთავსებული კაპის ახალშენიდგან. როგორც ამ კორესპონდენციიდგანა სჩანს, ინგლისელებს დღესაც ვერ განუდევნიათ ახალშენში შესეული ბურები. სულ ამ ჟამად კაპის ახალშენში ბურთა ცამეტი რაზმია თურმე, რიცხვით 1500 კაცი. ამ რაზმების განდევნა გენერალ ფრენჩსა აქვს მინდობილი, გენერალი ბევრსა სცდილობს თურმე, მაგრამ კაპის ახალშენი ვერ გაუწმენდია ბურებისაგან, რომელთაც დიდ დახმარებას უწევენ თვით ახალშენელნი, ინგლისის ქვეშევრდომნი.

— ინგლისელები ათას ხერხსა ხმარობენ, რომ უცხო ქვეყნელნი ამ ადგილებში არ შეუშვან, სადაც ბურები იმყოფებიან. ამ ბოლოს დროს, ისევე, როგორც ომის დაწყებისას, დედამიწის სხვა-და-სხვა კუთხიდგან მრავალი მეომარი მიდის ბურების საშველად. ეს მეომარნი უმთავრესად გერმანელნი არიან. თვეში სულ ცოტა 500—600 გერმანელამდე ემატება ბურებს. ამიერიდგან სამხრეთ-აფრიკის ნავთ-სადგურებიდგან აფრიკის რომელსამე ქალაქსა ან სოფელში წასვლა ინგლისის მოხელეთა ნებადაურთველად არავის შეუძლიან.

— მოგეხსენებათ, ბურები როგორ მოწყალედ და ლმობიერად ექცევიან ტყვე-ინგლისელებს. არ აპატიმრებენ მათ და არც სიკვდილითა სჯიან; პატიოსან სიტყვას ართმევენ, ნუღარ იომებთ ჩვენ წინააღმდეგაო, და მეორე ან მესამე დღესვე ანთავისუფლებენ. მაგრამ ინგლისელები თავისას არ იშლიან და, პატიოსან სიტყვის მიუხედავად, ხელ-ახლა გადიან საბრძოლველად. ეხლა ბურებს, როგორც ინგლისურივე გაზეთები გადმოგვცემენ, გადაუწყვეტიათ დამღა დაასვან ხოლმე ინგლისელებს, რომელნიც ტყვედ ჩაუვარდებათ, და შემდეგ განათავისუფლონ. თუ ვინიცობაა დამღა-დასმული მეორედ მოჰყვა ტყვედ, ბურები დაჰხვრეტავენ, როგორც სიტყვის მოღალატეს და პირობის გამტეხს.

ინგლისი. ერთს ინგლისურს გაზეთში დაბეჭდილია კაპიტანის მაგანის წერილი ამ სათაურით: „სამხრეთ-აფრიკის ომმა შეარყია თუ არა ინგლისის სახელი?“ ეს წერილი დამხასიათებელია ინგლისის საზოგადოების ერთის ნაწილისა, რომელიც დღემდე ვერ გამოფხიზლებულა და რომელსაც ერთ მუჭა ბურებთან ომი დიდებულ და საგმირო საქმედ მიაჩნია. ამ ომმა ძალა და დიდება მოუპოვა ინგლისსაო, ამაყად გაიძახის ამაყის ალბიონის შვილი. ამ ომის წყალობით მთელმა დედამიწამ გაიგო, რა ძალ-ღონის მქონე ყოფილა ინგლისი; იმისავე მეოხებით ინგლისი უფრო დაუახლოვდა და დაუკავშირდა თავის ახალშენებსაო. რაც შეეხება ომის გაჭიანურებას, ავტორის აზრით, ეს გაჭიანურება საზარალო კი არა, -- სასურველია ინგლისისათვის. ბურები თანდათან სწყდებიან ომში, ასე რომ მალე იმათი ხსენებაც-კი აღარ იქმნება. მაშინ თავის-თავად მოისპობა ბურების ბატონობაო.

— ედინბურგში ამას წინად შემდეგი ამბავი მომხდარა. დღემდე შოტლანდიის დედა-ქალაქში კვირა დღეებს ისე მტკიცედ იცავდნენ, რომ ტრამვაების ვაგონების სიარულიც-კი ისპობოდა ხოლმე შაბათს საღამოდგან ორშაბათ დილამდე. მაგრამ წარსულ კვირას ამ წესისათვის უღალატნიათ და ტრამვაი უმუშავებიათ. ამ ამბავმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ედინბურგის მცხოვრებთა შორის. მეორე დღესვე მიტინგი გაიმართა, რომელზედაც აუარებელი ხალხი შეიკრიბა და სიტყვები წარმოითქვა. ეკლესიებში მღვდლებმა „კვირა დღის სიწმინდის დარღვევის“ გამო ქადაგებები წარმოსთქვეს.

გერმანია. გაზეთები დაწვრილებით გადმოგვცემენ კანცლერის ბიულოვის სიტყვას, წარმოთქმულს საბაჟო ტარიფის განხილვის დაწყების დროს. სხვათა შორის კანცლერს უთქვამს, რომ ტარიფის გადიდება საზარალო არ იქნება მრეწველობისათვის და არც სავაჭრო ხელშეკრულებათა პოლიტიკაზედ იქონიებს ცუდ გავლენასაო. ახალი ტარიფი ისეთ საფუძველზეა დამყარებული, რომ სახელმწიფოს ყოველ გვარ ინტერესებს დააკმაყოფილებს. გერმანია არც სამრეწველო და არც სამიწად-მოქმედო სახელმწიფოაო: იგი ერთიც არის და მეორეცაო. შემდეგ ბიულოვს პატრიოტთა ჩვეულებრივ ფარ-ხმლისათვის მიუმართავს: მთელი ქვეყანა გვიგდებს ყურს, ამიტომ იმედი მაქვს, ორატორნი პატრიოტიზმს არ დაივიწყებენ და თავ-დაჭერით ილაპარაკებენო. არ უნდა დავივიწყოთ, რომ უცხოელთ ჩვენ ყოველთვის ძლიერნი უნდა ვეჩვენოთ, ერთის სურვილით გატაცებულნიო.

— კამერუნში გერმანელი ვაჭრები ძალიან სასტიკად და უღიერად ექცევიან თურმე ადგილობრივ მცხოვრებთ. ამას წინად სასამართლოს ცუდად მოპყრობისათვის დამნაშავედ უცვნია რამდენიმე ვაჭარი; ზოგისთვის კატორგაში გაგზავნა გადაუწყვეტია, ზოგისთვის კიდევ—საპყრობილეში დაპატიმრება. ერთს ვაჭრისთვის, რომელსაც პალოზედ ჩამოუცვამს ერთი ადგილობრივი მცხოვრები, ხუთის წლით კატორგა გადაუწყვეტია, მეორესთვის, რომელსაც შავ-კანიანთათვის ხელებზედ ნავთი გადაუსხამს და შემდეგ ცეცხლი წაუკიდებია—სამის წლით, მესამისთვის, რომელმაც ზანგს თვალი გამოსთხარა თურმე—8 თვით.

ჩინეთი. ვერ იქმნა და ვერ ეღირსა პეკინი გაქცეულ იმპერატორისა და იმპერატრიცის დაბრუნებას. რამდენი ხანია გაიძახიან, სამეფო ოჯახი მიდის პეკინშიო, მაგრამ ეს ოჯახი ჯერ ადგილიდგანაც-კი არ დაძრულა. აი ეხლაც, პრინც ცუნს უცნობებია ელჩებისათვის, რომ რადგანაც ქვრივი იმპერატრიცა უქეიფოთ არის, პეკინში დაბრუნება იმპერატორისა და იმპერატრიცისა სხვა დროსთვის გადაიდოო. პეკინში ამ ჟამად დიდი მზადებაა თურმე: აახლებენ და ამშვენებენ სასახლეებს.

— გაზეთებში დეპეშაა დაბეჭდილი, ტიან-ძინიდგან გამოგზავნილი. იმპერატორსა და ქვრივ იმპერატრიცას უწინდელებრ რეაქციონურ დასის წევრნი ახვევიანო, ნათქვამია ამ დეპეშაში. ამბობენ, იუნგლუ დიდი წინააღმდეგია სამეფო ოჯახის პეკინში დაბრუნებისაო. საზოგადოდ ძნელი მოსალოდნელია, რომ ჩინეთის მართვა-გამგეობის საქმეში რამე თვალ-საჩინო ცვლილება მოხდეს.

— როგორც ეპისკოპოს ფავიეს ანგარიშიდგანა სჩანს, 1899 წელს საფრანგეთის კათოლიკეთა მისიას ჩინეთში ჰქონდა 11 ეკლესია, 488 სამლოცველო, ორი სემინარია, ხუთი კოლეგი ღ370 პირველდაწყებითი სკოლა. ეხლა მისსიას ამის მესამედიც არა აქვს, რადგანაც ჩინელებმა არეულობის დროს ბევრი ეკლესია, სამლოცველო და სკოლა დააქციეს.

ბოლგარია. ხმაა გავრცელებული, რომ ბოლგარიის მთავარს განუზრახავს მთავრობას თავი მიანებოს და ტახტზედ მემკვიდრე ბორისი აიყვანოსო. მიზეზი ამისა ორია თურმე: ერთი ისა, რომ მთავარი ავადმყოფობს, ხოლო მეორე—თან და თან ჰგრძნობს, რომ ხალხი ცივად ეკიდება. მემკვიდრის სრულ წლოვანებამდე სამის წევრისაგან შემდგარი სარეგენტო იქმნება დანიშნული.

რუსეთი

—

— შინაგან საქმეთა სამინისტროსთან სხვა-და სხვა უწყების წარმომადგენელთაგან საგანგებო კომისსია შემდგარა, რომელმაც ებრაელების შესახებ არსებული მოქმედი კანონდებულებანი უნდა განიხილოს. ამ ჟამად ებრაელების საქმეებს უცხო სარწმუნოებათა სასულიერო საქმეების დეპარტამენტი განაგებს.

— შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ ბოლოს დროს დიდი ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, შეუძლიანთ თუ არა ხმოსნობა ქალაქის გამგეობასა და ერობის გამგეობაში სამსახურისათვის არჩევანებით მიწვეულთ. ეს საქმე განსახილველად სამინისტრომ გუბერნატორებ

წმენად გადაქცეულაო,—შეჰნიშნავს ბ-ნი პავლოვი“.

და მართლაც, გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ რამდენიც უნდა შეაჩიჩქოლონ კუჭის კედლები ერთის ბოლოთი ან შუშის ჩხირით, ინც კუჭი ცვარს წვენს არ გამოლებს, თუ მეტის-მეტად არა გრძნობს შიმშილს ცხოველი და ევ ეს ძლიერი ჭამის სურვილი არ უხდა მიზეზად, ისევ მოტყუებით რმოდენამ არ იმოქმედა.

მაშასადამე, აქედგან კუჭის შეხებაც იგივე მტკიცდება, რაც პის შესახებ ითქვა; ორსავე შემთხვევაში მადასა და ძლიერს ჭამის სურვილს თურმე აქვს დიდი გავლენა და მნიშვნელობა, უამათოდ ჯირკვლები მოსანელებელს წვენს იძლევიან.

პირ-იქით, მრავალგვარმა ცდამა და დაკვირვებამ დაარწმუნა პავლოვი, რომ ზოგიერთი საჭმელი ნივთიერებანი, მაგალითად, ხორცი, შაქარი, ქონი, სახამებელი და ცი- თავისის ქიმიურ თვისებებით საკმოდ ძლიერად ვერა ჰმოქმედებენ კუჭზედ, ხოლო რაც შეეხება წყალს, ხორცის წვენს, ხორცის ნახარშს, რძესა და ხორცის ექსტრაქტს ესე- კარგად ჰმოქმედებენ, ბლომადენს უყენებენ კუჭს. ხორცი, ცი-, პური და სხ.-კი მხოლოდ მა- იჩენენ ძალას, როდესაც საკმაოდ სველნი არიან, რაიმე მადის მომგვრელ საშუალებით შენელებულნი.

ერთი სიტყვით, ურიცხვმა და ყოველ მხრივმა ცდამ, როგორც პროფესსორის პავლოვისა, ისე მისის თანამოაზრეებისა და თანაშემწეებისამ აშკარად დაამტკიცა, რომ ერთად-ერთი და ნამდვილი საშუალება საჭმლის უკეთესად მონელებისა და საზრდოობისა მადაა, სხვა არასფერი; არავითარი მეხანიკური და ქიმიური საშუალება არ აიძულებს ჯირკვლებს იმუშაონ ისე ერთგულად, როგორც კარგი მადა და გუნება, ბუნებითი, შეჩვეული და შეთვისებული, საყვარელი საჭმელი.

ძაღლი, მაგალითად, მოგეხსენებათ, უმეტესს შემთხვევაში ხორცს ამჯობინებს პურსა და ამასთან უმს უფრო ეტანება და მეტის სიმოვნებით გიახლებათ, ვიდრე მოხარშულსა. ამიტომაც ცდის დროს, თუ რომ ძაღლს უმს ხორცს აჭმევდნენ, რაოდენობა კუჭის წვენისა ერთი ორადა მატულობდა, თუ პურს, სულ მცირედს იძლეოდა, ან სულ არ ეკარებოდა, თუ მიჩვეული არ იყო. მაგრამ არიან, ძაღლები, რომლებსაც მოხარშული ხორცი უფრო მეტად უყვართ, ვიდრე უმი; პურს უფრო მეტად არიან მიჩვეულნი, ვიდრე ხორცს. შეჩვეული საჭმელი ამათზედაც ისრევე ჰმოქმედებდა, როგორც პირველებზედ.

მაშასადამე, აქედგან ჯერ მადა და მერმედ მიჩვევა საჭმლისა უმთავრესი საშუალება ყოფილა, რომელსაც საჭმლის მონელებაზედ ასრე დიდი ზედ-გავლენა აქვს. ამიტომაც ადვილი ასახსნელია ახლა, რატომ ხდება, რომ ადამიანს კუჭი ეშლება, თუ ჩვეულ საჭმლიდგან უჩვევზედ გადავიდა, ან კვების დროს რაიმე საქმის კეთებას (კითხვასა და სხ.) მიეჩვია *). ასეთის ჩვეულობის დროს ადამიანი რაღაც უყურადღებოდა და თვისდა შეუმჩნევლადა სჭამს თითქმის ყველაფერს; მაშასადამე, მადას ვერ იღვიძებს, მიღებულს საჭმელს გემოს ვერ ატანს და ვერც-თუ საჭირო საჭმლის მომნელებელს ორგანოებს აძლევს ჯეროვანს მიზეზს ამოძრავებისას. საჭმელი მაშინ მშრალად მიდის ჭამადის სადენელს მილში, დიდ-ხანსა რჩება გვამში, იხრწნება და სწამლავს სხეულს, საზრდოს-კი ვერასფერს აძლევს, რადგანაც ნახევრად მოუნელებელი გამოაქვს უკანვე და სხ.

მეორე მხრივ, ადვილი ასახსნელია ისიც, რატომ სცდილობენ მზარეულები საჭმელი, რაც შეიძლება, გემრიელად შეანელონ სხვა-და-სხვა გვარის მწარე და ტკბილ სანელებლებით; სადილს მუდამ სხვა-და-სხვა გვარს მადის გამხსნელს საუზმეებს რად წაუმძღვარებენ ხოლმე და მადის გასაორკეცებლად ზედ უთუოდ პილატეს ცრემლსაც (არაყს) დააყოლებენ. ამ მიზეზითვე უნდა აიხსნას ჩვეულება, რომ სადილს უთუოდ თბილი წვნით, ან ბულიონით დაიწყებენ ხოლმე, რომელიც კუჭს, ეჭვი არ არის, წვენს ბლომად გამოაღებინებს და ამ რიგად შემდგომ მიღებულ საჭმლების ადვილად მონელებასა და მოხარშვას ხელს შეუწყობს. ამითივე უნდა აიხსნას უთუოდ ჩვენის ხალხის სველი ლუკმისადმი ასეთი დღესასწაულებრივი დამოკიდებულება და ჩვეულება დოთი მაინც ჩაისველონ ყელი, ძმარ-წყალს მაინც შეატანონ პური. ამითივე უნდა აიხსნას უთუოდ ინსტიქტიური მიდრეკილება ყველა ადამიანისა იმ საჭმლისადმი, რომელსაც პატარაობიდგან შესჩვევია და უპირატესობა ქართველისა ლობიოსადმი, რომელსაც უცხონი და უჩვევნი ასრე დასცინიან, აბუჩად იგდებენ. გარდა ამისა, ამითივე აიხსნება, ეჭვი არ არის, უთუოდ ის სიკეთე, რომელიც, მაგალითად, ავადმყოფისათვის ხშირად სრულიად მავნებელსა, მაგრამ შეჩვეულსა და საყვარელს საჭმელს მოაქვს. აქედგანვე წარმოსდგება, დასასრულ, ხშირად უცნაური და გაუგებარი უვარგისობა ნამდვილად მარგებელ და ნოყიერ საჭმელისა და მარგებლობა და უებრობა უვარგისისა. ამითივე უნდა აიხსნას უთუოდ ის გარემოება, რომ მწუხარებისა, უქეიფობისა და გაჯავრება-უკმაყოფილობის დროს ადამიანს ჭამა სრულიად არ უნდება, ხალხს მიჩვეული ადამიანი მარტოდ სუფრაზედ კრიჭა-შეკრულია და სხვ. სამაგიეროდ, როცა ჰშიან და საჭმელი და მეტრაპეზე იამება, ადამიანი ჭამით ველარა ძღება, ჰგრძნობს ხორცსა და სისხლს ძალა როგორ ემატება, როგორ ღონიერდება და სხ.

ერთი სიტყვით, პატივცემულმა პროფესსორმა ნამდვილად დაამტკიცა, რომ საჭმლის მონელებაზედა და ნორმალურს ზრდა-საზრდოობაზედ სულიერს გავლენას, მადას, გუნებას თავი და თავი მნიშვნელობა აქვს და უპირველესად ყოვლისა ამ გარემოებას უნდა მიაქციოს ყველამ ყურადღება, თუ ჰსურს კუჭი, ეს უმთავრესი იარაღი სიცოცხლისა, მრთელად შეინახოს. უმთავრესად-კი, ეჭვი არ არის, მოზარდს, მოსწავლე თაობასა ჰმართებს ესეთი ზრუნვა, რომ საღს სხეულში საღი სული აღზარდონ.

Morosus.

---

*) თვითონ მე, თქვენს უმორჩილესს მონასა, მქონდა ჩვეულებად სადილის დროს ერთგულად გაზეთების კითხვა, ვიდრე 1898 წელს პავლოვის ლექციას მოვისმენდი, მაგრამ ისე მომეშალა კუჭი, რომ მორჩენა მეეჭვებოდა. ახლა, მადლობა პავლოვსა, კუჭს აღარას ვემდური.

გადასცა. გუბერნატორების აზრით ამ ორის თანამდებობის ერთის კაცის მიერ შესრულება შეუძლებელი თურმეა.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში ლაპარაკი თურმეა აღძრული, რომ ევროპის რუსეთის შუა-გულ, სადაც მერძეობა მეტად განვითარებულია, სარძეო მეურნეობის შესასწავლად უმაღლესი სასწავლებელი დაარსონ.

— წარსულს წელს რუსეთში 38.000,000 ფუთი შაქარი დაუხარჯნიათ.

— გზათა სამინისტროს განზრახვა აქვს, გარდა არსებულ დაბალ სატეხნიკო სასწავლებლებისა, დაასოს აგრეთვე საშუალო სატეხნიკო სასწავლებლებიც.

— სამხედრო ბეგრის საკრებულოს სახელმძღვანელოდ არსებული დარიგება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეემოწმებინათ ხოლმე ჯარში გასაყვან ახალგაზრდათა ვარგისობა, შეუცვლიათ.

— მთავრობის წრეებს ამ ჟამად განსაკუთრებული რჩევა თურმე აქვთ იმის შესახებ, რომ სამხედრო სამსახურის კაცების ნივთიერი მდგომარეობა როგორმე გააუმჯობესონ.

— სამხედრო-სამეურნეო აკადემიის კონფერენციას განსაკუთრებული კომისია ამოურჩევია და მიუნდვია მისთვის განხილვა იმ საგნისა, — შეიძლება თუ არა გამოსაცდელ ფარმაცევტთა რიცხვს მიემატოს რამე. დღეს-დღეობით ყოველ წლივ მხოლოდ განსაზღვრული რიცხვი ფარმაცევტებისა იჭერდა ხოლმე ეგზამენს: მეაფთიაქეს თანაშემწეობაზედ — 35, პროვიზორობასა და ფარმაციის მაგისტრობაზედ მხოლოდ 5 ყოველ ნახევარ წელში და სხვ.

— როგორც გაზ. „С.-Петербургскія Вѣдомости" იუწყება, მიწათ-მოქმედების სამინისტროს ახლავე დაუდგენია, ვიდრე ქალების სასოფლო-სამეურნეო განათლების საქმე კანონიერად გარდასწყდებოდეს, ურჩიოს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებს ზოგიერთს შემთხვევებში მიიღონ ხოლმე ქალები, მაგრამ მხოლოდ პრაქტიკულ მუშაობათათვისა და არა მოწაფეებად. ქალები ამ რიგად მოისმენენ ყველა სპეციალურს საგნებს, მაგრამ არავითარს უფლებებსა და უპირატესობას გათავებისას არ მიიღებენ.

— ფინლიანდიის სენატს გარდაუწყვეტია რუსულის ენის შესასწავლად პრაქტიკული კურსები გამართოს იმათთვის, ვისაც საშუალო სასწავლებელი არ გაუთავებია, მაგრამ ჰსურს სამხედრო ბეგრის მოხდის დროს უნტერ-აფიცრობაზედ ეგზამენი ჩააბაროს.

— სენატს თურმე წარუდგინეს პრინციპიალურად გარდაწყვეტა საგნისა — ვის საკუთრებას შეადგენს ქალაქის სასაფლაოები — ქალაქის თვითმმართველობისა და სასოფლო მეურნეობის საზოგადოებისა, თუ ეკკლესიისას.

— როგორც სამკურნალო საბქოს დაუდგენია, გუბერნატორს უფლება თურმე აქვს გომეოპატიურ აფთიაქების გახსნაზედ ნება-რთვა მისცეს და პატრონმა ასეთი აფთიაქი სამკურნალო სამმართველოს უნახავად გახსნას, მაგრამ უფლება აქვს სამკურნალო სამმართველოს, როდესაც-კი ამას საჭიროდ სცნობს, კანტროლი გაუკეთოს.

— გზათა სამინისტროში ლაპარაკი აღუძრავთ სასწრაფო მატარებლებმა ამიერიდგან საათში 80 ვერსამდე მანძილი გაიარონ ხოლმე.

— საერო განათლების სამინისტროს განმარტებით, სამაზრო სასწავლებლების მასწავლებლებს უფლება თურმე ეძლევათ, თუ რომ ერთის რომელისამე ახალ ენის საშინაო მასწავლებლობის მიღება უნდათ, მხოლოდ ამ ენიდგან დაიჭირონ ეგზამენი, როგორც უმთავრეს საგნიდგან.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

28 ნოემბერი.

მოსკოვი. ამ თვის 27 ბრესტის რკინის გზით სოფლის მეურნეები წავიდნენ ინგლისში.

ტიანძინი. დარაჯად მყოფმა ინდოელ ჯარის კაცმა მოჰკლა ორი თავისი ამხანაგი და გაიქცა ამოკში. ფენჯაბის ქვეითა რაზმის როტამ გამოუდგა უკან დასაჭერად მაგრამ სანამ მოეწოდა, გერმანიის ჯარის კაცებმა მოჰკლეს კიდეც ის ინდოელი და შემდეგ თოფები დაუშინეს თვით როტას. გაიმართა ნამდვილი ჩხუბი, რომელშიაც მოიკლა სამი გერმანელი ჯარის კაცი, ერთი აფიცერი და სამი კიდევ დიდხანს იწოლილებიან ყაზარმაში.

ვენა. დეპუტატთა პალატაში, დროებით ბიუჯეტის მეორედ წაკითხვის შემდეგ, მინისტრ-პრეზიდენტმა სცადა ერთხელ კიდევ ჩაეგონებინა დეპუტატებისათვის თუ რამდენად არის აუცილებლად საჭირო პალატის გადახალისება, რაიცა ერთობ გვიან გვეღირსება თუ ისე წავიდა საქმე, როგორც ამ ჟამად მიდის. საკონსტიტუციო წესწყობილება თხოულობს ეხლანდელი პალატა დათხოვნილ იქმნას და მის მაგიერ მოიწვიონ ახალი, უკეთესად რომ იქცეოდეს ისეთი. და თუ მმართებლობა ყურს ათხოვებს მოთმინება გამოლეულ ერს და, სახელმწიფოს ინტერესებისათვის, იძულებულად დაინახავს თავს ხელი შეახოს კონსტიტუციას, — იგი სამარადისოდ მართალი იქნება ისტორიის მსჯავრის წინაშე, მას ყველა ჩასთვლის სახელმწიფოს მხსნელად მხსნელად. მინისტრი აგონებდა პალატას — ნუ დაარღვევინებთ კონსტიტუციას, როგორც ეს ერთხელ მოხდა კიდეც ავსტრიაშიო... საერთო მღელვარებაა დეპუტატებისა. მინისტრმა სიტყვის დასასრულ უთხრა დეპუტატებს: ცოდვას ნუ იწვევთ პარლამენტის თავზე!"

ბერლინი. თავადმა რაძივილმა რეიხსტაგში განმარტა თავისი შეკითხვა ვრეშენში მომხდარ ამბების გამო. იმპერიის კანცლერმა უპასუხა რომ ის იძულებულია რეიხსტაგს აცილოს განსჯა ამ ამბებისა, რადგანაც მათი განხილვა პრუსიის სეიმს ექვემდებარებაო, მაგრამ მაინც უნდა სთქვას, რომ ვრეშენის მთავრობის საქციელს არა უვნია რა სახელმწიფოს ღირსებისათვის. ვრეშენში მომხდარ უწესოებების ჩამდენთ, რომელთაც შეკითხვის ავტორი ერთობ მსუბუქ მსჯავრს დებს, იქნება ის ჰქონდათ გულში, რომ ასეთი საქციელით მეზობლებს შუა რაიმე უკმაყოფილება ჩამოეგდოთ, მაგრამ შემიძლია დაგარწმუნოთო სთქვა მინისტრმა, — რომ ეს იმედი არ გამართლებიათო. ავსტრი-უნგრეთის ხელმწიფის მოადგილემ გალიციაში თავისი მწუხარება გამოუცხადა ჩვენს ელჩს ვენაში იმ ამბების გამო, რაც ვრეშენში მოხდაო. გრაფს გოლუხოვსკის უთქვამს, რომ დამნაშავენი დაისჯებიან და მთავრობის მოხელენი პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი. — მინისტრს უკვირს, როგორ იფიქრა შეკითხვის ავტორმა და წარმოიდგინა, რომ უცხოეთის აზრებს რაიმე ზედგავლენა ექნებოდა გერმანიის შინაგან საქმეების მიმდინარეობასა და წყობილებაზე — უცხოეთის აზრსა და დემონსტრაციებს არავითარი გავლენა არა აქვთ არც ჩვენს შინაურს პოლიტიკაზე და არც ხელმძღვანელი მინისტრის მოღვაწეობაზე. ჩემთვის მხოლოდ ერთი მოსაზრება არის სახელმძღვანელო — სახელმწიფოებრივი მოსაზრება და ეს არის ჩემი მოვალეობა გერმანიის წინაშე. ამ მოვალეობას მე არასოდეს არ დავივიწყებ არც იმ სერიოზულ საფრთხეს წინაშეო, სთქვა მინისტრმა რომელიც მოელის ჩვენს ერს გაპოლაკების მხრითო. მე მოვიქმედებ ყველაფერს, რასაც კი ჩემი თანამდებობა მოითხოვს ჩემგან, რომ ნემცები აღმოსავლეთისკენ არავინ დაჩაგროს (მემარჯვენენი უწონებენ, პოლონელები უსტვენენ.) იმ დროს როცა გომბეში თხოულობს განხილულ იქმნას შეკითხვა, იმპერიის კანცლერი, სტატს-სეკრეტარი და კომისარი გადიან დარბაზიდან.

ბიულოვის შემდეგ ილაპარაკა ცენტრის დეპუტატმა რორენმა, რომლის აზრით რეიხსტაგს შეუძლია განიხილოს რაძივილის შეკითხვა. რორენი სასტიკად ჰკიცხავს იმ სასტიკს ღონის ძიებათ, რომელნიც მიიღეს ვრეშენის ბავშვების წინაამდეგ. კონსერვატორი დეპუტატი ლიმბერგი ამართლებს მმართებლობის საქციელს. პოლონელი ძიემბოვსკი ამართლებს ბავშვებს, რომელთაც უარი თქვეს, საღმრთო სჯულს, თუ არა დედა-ენაზე, ისე არ ვისწავლითო. ძიემბოვსკი სასტიკად ჰკიცხავს მთავრობის ღონის ძიებათ. სხდომის გადადების წინადადება მიღებულ იქნა.

სტოკჰოლმი. ნოემბრის 27-ს სხდომა ჰქონდა ნობელის სახელობაზე დაარსებულ პრემიების მიმსჯელ კომიტეტს. პრემიები მიესაჯათ: საფიზიკო — პროფესორს რენგტენს (გერმანია) საქიმიო პროფესორს ვან-გოფფს (ჰოლლანდია) საქიმო — პროფესორს ბერინგს (გერმანია) და სალიტერატურო — სიულლი პრიუდომს (საფრანგეთი.)

ლონდონი. მეფემ გადასწყვიტა და გვირგვინის კურთხევა დანიშნა მომავალი 1902 წ. ივნისის 12-ს. პარლამენტის მოწვევა დანიშნულია იმავ წლის იანვრის 3-ს.

ვენა. რეიხსრატში დედუშიცკიმ მკვახე სიტყვა წარმოსთქვა იმის შესახებ, თუ როგორ ეპყრობიან პოლაკებს პრუსიაში. ამ საქციელის შედეგია ის სამწუხარო დემონსტრაციები, რომელთაც ქუჩებში მართვენ. მინისტრ — პრეზიდენტი წინაამდეგია დედუშიცკისა და ამბობს ჩვენ უფლებაც არ გვაქვს გავერიოთ სხვა სახელმწიფოს საქმეში და განვსაჯოთ მათი შინაური საქმეებიო.

პარიჟი. პალატამ დაასრულა უმთავრესი ბაასი ბიუჯეტის განხილვის გამო და 395 ხმის უმრავლესობით წინაამდეგ 122-სა გადასწყვიტა მოითხოვოს სენატში პროგრესიულ გადასახადის შემოღება ისეთს სამკვიდროებზე, რომლებიც მილლიონ ფრანკზე უფრო ძვირად დაფასდება.

პეტერბურგი. უმაღლესად ებრძანა სამხედრო მინისტრს, რომ ფინლანდიის ჯარებში უფროსი თანამდებობანი, რომლებსაც დღეს ფინლანდიელები ასრულებენ, ჩაიბაროს თავის განსაგებელად და მოიქცეს ისე, როგორც უმაღლესად ნაბრძანები იყო ამ წლის 28 ივნისს.

ნოემბრის 28-ს ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა უმაღლესს შვილებითურთ ცარსკოე-სელოდან გატჩინოს წაბრძანდნენ,

ბერლინი. „ჩრდილო გერმანიის ნემეცების გაზეთია" იტყობინება რომ ერთი პოტსდამელი გაზეთიდან სხვებში გადაბეჭდილი ამბავი, ვითომც გერმანიის იმპერატორს ამ თვის 17-ს პირველ რაზმის აფიცერთა შორის პოტსდამში დუელების შესახებ ელაპარაკნოს — ტყუილიაო.

პეტერბურგი. ნოემბრის 27 ბირჟა $4^{1}/_{2}\%$ ობლიგაციები ტფილისის საკრედ. საზოგადოებისა იყიდება 82 მ. 75 კაპ

აქციები ა. მანთაშოვის ნავთის მწარმოებელ ამხ. 161 მ. 50 კაპ.

29 ნოემბერი.

ბერლინი. რუსულს „ფინანსთა უწყებაში" დაბეჭდილმა სტატს-სეკრეტარის ვიტტეს აზრმა გერმანიის სადამოჟნო პოლიტიკაზე აქ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. საზოგადოდ იმ აზრისანი არიან აქ, რომ ვიტტეს შეხედულება მოარბილებს, თავქედობას ნემეცთა მინისტრებისას რომელნიც ირწმუნებოდენ, მეურნეობის სადამოჟნო ტარიფები არას დაგვიშლის სხვა სახელმწიფოებთან სატარიფო ხელშეკრულობის საქმეშიო. გაზეთები იწონებენ ვიტტეს აზრს, ამბობენ, რომ მას, როგორც სამშობლოს ერთგულს სხვა ნაირი აზრის გამოთქმა არც კი შეეძლოვო. გაზეთებს შორის აღსანიშნავია შეხედულობა აგრარიების გაზეთისა, რომელიც კმაყოფილია ვიტტეს [illegible]ლობით, სიამოვნებით აღნიშნავს რომ საქმე სადამოჟნო ბრძოლამდი არ მიაწევს, მაგრამაო, ამბობს მაინც გაზეთი, გერმანიის მდგომარეობა უფრო ძლიერია, ვიდრ რუსეთისაო, ამ უკანასკნელმა არ იცის როგორ გაასაღოს ნამეტანობა თავის პურისაო და ამიტომაც გერმანია არ დაკმაყოფილდება ცალიერს უფლებას დაწერილის უპირატესობისასო. სოციალდემოკრატთა გაზეთი ვიტტეს შეხედულებაში ხედავს ცხადს საბუთს იმისას, რომ ერთის ქვეყნის საერო თავის მოყვარეობას საზღვარს უდებს სხვა ქვეყნების საერო თავის მოყვარეობა. გაზეთი კმაყოფილია, რომ ყოველთვის, როცა კი აქ დაიწყებენ ლაპარაკს რუსეთისა და გერმანიის შეთანხმებაზე გერმანიისაგან პურის ბაჟის მომატების შესახებ, ვიტტე ცივს წყალს გადაგვასხამსო.

აგრარიების მეთაური კანიცი რეიხსტაგში იცავს ბაჟის მომატებას. მისი აზრით მიწის მუშაობის დაცვა არსებითი საგანია სახელმწიფოსათვის. სოციალ-დემოკრატი ზინგერი პურზე ბაჟის მომატებას პურის საქმეში ჩარჩობას არქმევს.

კონსტანტინოპოლი. ხონთქარმა გაუგზავნა ზინოვიევს მისი იუბილეის სახსოვრად ბრილიანტებით შემკული ოქროს საჩუქარი შესაფერი წარწერით.

პეტერბურგი. „მმართებლობის მოამბეში" გამოცხადებულია რა წესით უნდა გამოცვლილ იქმნას ტფილისის მესამე სესხის ობლიგაციები ახალი სახის ობლიგაციებით. ეს განკარგულება გამოცემულია ტფილისის ქალაქის თავის მოადგილის თხოვნით, რომელმაც ეს შუამდგომლობა აღძრა შემდეგ იმისა, რაც ქალაქის კასსიდან 592.000 მან. ღირებულობის ობლიგაციები მოიპარეს.

გამოცხადებულია რომ ადესაში შავიჭირი მოისპო ოქტომბრის 27-დან და რომ თავის დროზე მიღებულ ზომები გაუქმებულ არიან. ბათომშიაც 8 ნოემბრის აქეთ დ მთელს შავის ზღვის პირასაც შავჭირით არავინ გამხდარა ავად.

განცხადება

Годъ XVIII.

Открыта подписка на 1902 годъ

на издающуюся въ городѣ Ставрополѣ-Кавказскомъ общественно-литературную и политическую газету

„Сѣверный Кавказъ"

(съ Октября 1901 г. форматъ газеты увеличенъ)

выходящую три раза въ недѣлю — по вторникамъ, четвергамъ и субботамъ и посвященную выясненію нуждъ края, названіе котораго она носитъ

ВЪ ПРОМЕЖУТОЧНЫЕ ДНИ — среду, пятницу и воскресенье выходя ТЕЛЕГРАММЫ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Съ доставкой и пересылкой:	р. к.	Безъ доставки и пересылки:	р.
На годъ	5 50	На годъ	4
„ полгода	3 —	„ полгода	2
„ 3 мѣсяца	1 75	„ 3 мѣсяца	1
„ 1 мѣсяцъ	— 60	„ 1 мѣсяцъ	—

Суммы менѣе рубля можно высылать почтовыми марками.

Допускается разсрочка платежа — по соглашенію съ редакціей.

Адресъ: Ставрополь-Кавказскій, редакція **„Сѣвернаго Кавказа"**. Телеф. № 3

Пріемъ объявленій: въ Ставроп.-Кавк. въ ред. и тип. „Сѣв. Кав. въ Москвѣ и Петербургѣ въ конт. Торг. Дома Л. и Э. Метцль и К

Издатель **В. В. Беркъ**. Редакторъ **Д. И. Евсѣ**

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29-го Ноября 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118 რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე.**